



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №29

2017 წელი 31 მაისი

ქ.ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2017 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №88 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2017 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული, სტუდენტური და ახალგაზრდული ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №88 განკარგულებით დამტკიცებულ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტულ, სტუდენტურ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში შეტანილი იქნას ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული (დანართი №1, №2, №3 და №4) რედაქციით.

2. განკარგულება ამოქმედდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მაისის N15 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე